

ტერორიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი¹

გადაწყვეტილება საქმეზე **-Trabelsi v. Belgium²** - ეხებოდა პირის არახელშემკვრელ სახელმწიფოში ექსტრადაციას, სადაც მას ტერორიზმის ბრალდებით საქმის განხილვა და, მსჯავრის დადების შემთხვევაში, უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. წარმოშობით ტუნისელი მომჩივანი ბელგიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა ექსტრადირებული. ევროპული სასამართლოს მიერ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის მიხედვით ბელგიისთვის მიცემული მითითების მიუხედავად, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, მომჩივანი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ უნდა გადაეყვანათ, ექსტრადაცია მაინც განხორციელდა.

მომჩივანი, სხვა საკითხებთან ერთად, დავობდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მას, გადასინჯვის შესაძლებლობის გარეშე, უვადო თავისუფლებას მიუსჯიდნენ. საქმეში - **Vinter and Others v. The United Kingdom³** - მოცემული კრიტერიუმების მითითებით, იგი აცხადებდა, რომ ექსტრადაციის განხორციელებით, დგებოდა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე ბელგიის პასუხისმგებლობის საკითხი.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მან მიუთითა, რომ დიდმა პალატამ გადაწყვეტილებაში საქმეზე - **Vinter and Others v. The United Kingdom** - ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ შიდა სამართალი არ უზრუნველყოფდა რაიმე მექანიზმს ან ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის შესაძლებლობას, ამ საფუძვლით მე-3 მუხლთან შეუთავსებლობა წარმოიქმნებოდა სასჯელის სახით თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიკუთვნებისთანავე და არა შემდგომი დაპატიმრების ეტაპზე. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სამუდამო პატიმრობის სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობას, რომელიც შიდა ხელისუფლების ორგანოებს უფლებას

¹ წინამდებარე ნაშრომისათვის გამოყენებულ იქნა <http://hudoc.echr.coe.int/> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა და ფილიპ ლიჩის წიგნი „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს“.

² *Trabelsi v. Belgium*, no. 140/10, 4 September 2014.

³ *Vinter and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 66069/09, 130/10 and 3896/10, ECHR 2013 (extracts).

მისცემდა „ განეხილა, შეინიშნებოდა თუ არა პატიმრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და სასჯელის მოხდის პერიოდში, რეაბილიტაციის თვალსაზრისით, განხორციელდა თუ არა იმგვარი პროგრესი, რომ განგრძობითი დაკავება ვეღარ გაამართლებდა სასჯელის ლეგიტიმურ საფუძვლებს” *Vinter and Others* სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან (i) იგი ხაზს უსვამს მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათს; (ii) გადაწყვეტილება აფართოვებს აღნიშნული მუხლის პრევენციულ ფუნქციებს იმ საქმეებში, სადაც შემცირების პერსპექტივის გარეშე სამუდამო პატიმრობის მისჯის რისკი მატერიალიზებული არ არის და, ამ საფუძვლით, იგი საქმეებში - *Harkins and Edwards v. the United Kingdom*⁴ და *Babar Ahmad and Others v. the United Kingdom*⁵ - ძველ მიდგომებთან მიმართებით აღნიშნავს სასამართლო პრაქტიკის განვითარებას; და (iii) მოცემული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ მე-3 მუხლის გარანტიების გამოყენებისათვის აუცილებელი სისასტიკის ხარისხი არ უნდა განსხვავდებოდეს იმ საქმეებში, რომელიც შეეხება პირების კონვენციის არახელშემკვრელ სახელმწიფოში გაძევებას.

„ფოქსი (Fox), კემპბელი (Campbell) და ჰართლი (Hartley) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” საქმეში განმცხადებლები დააპატიმრეს ჩრდილოეთ ირლანდიის 1978 წლის აქტის მე-11(1) მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, „ნებისმიერ კონსტებლს შეუძლია, ნებართვის გარეშე, ნებისმიერი პირის დაკავება, რომლის მიმართ გააჩნია ეჭვი, რომ ტერორისტია”. შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ამ დებულების განმარტების მიხედვით, ეჭვი, რომლის არსებობაც აუცილებელია არის „სუბიექტური” ხასიათის და ადამიანს „კეთილსინდისიერად” უნდა გააჩნდეს. როგორც კომისიამ, ისე სასამართლომ დაადგინა მე-5(1) მუხლის დარღვევა, რადგან გ) ქვეპუნქტში მოცემული გამონაკლისი მოითხოვდა „საფუძვლიან” და არა უბრალოდ „bona fide” (გულწრფელ) ეჭვს. შესაბამისად, მთავრობას უნდა „წარედგინა, როგორც მინიმუმ, გარკვეული ფაქტები ან ინფორმაცია, რომელსაც ევროპული სასამართლო საკმარისად ჩათვლიდა დაკავებული პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დადგენისთვის.

⁴ *Harkins and Edwards v. the United Kingdom*, nos. 9146/07 and 32650/07, 17 January 2012.

⁵ *Babar Ahmad and Others v. the United Kingdom*, nos. 24027/07 et al., 10 April 2012.

„ჯონ მიურეი (John Murray) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” საქმეში, მომჩივანი ჩრდილოეთ ირლანდიაში დააპატიმრეს ტერორიზმთან ბრძოლის კანონის (გარდამავალი დებულებების) შესაბამისად. მას არ მიეცა ადვოკატთან შეხვედრის უფლება 48 საათის განმავლობაში. სასამართლომ უპირველესად აღნიშნა, რომ სამართალწარმოების ასეთ ადრეულ ეტაპზე მე-6 მუხლის მოქმედება სადავო არ იყო, თუმცა გაიმეორა, რომ „წინასწარი გამოძიების დროს მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის გამოყენების წესი დამოკიდებულია სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და საქმის გარემოებებზე”. მოცემული საქმისთვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა წესი, რომლის მიხედვით, კონკრეტული გარემოებების არსებობისას, მოსამართლეს შეეძლო გარკვეული დასკვნების გამოტანა განმცხადებლის დუმილის საფუძველზე.

ევროსასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კონვენციის დარღვევას ჰქონდა ადგილი, რადგან ბრალდებულს უნდა მიეღო რთული გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას მოახდენდა შემდგომ სამართალწარმოებაზე. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით: „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, პოლიციის მიერ დაკითხვის საწყის ეტაპზე ბრალდებულის პოზიცია შეიძლება ისეთ სამართლებრივ შედეგს უკავშირდებოდეს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება დაცვისთვის შემდგომი სამართალწარმოების დროს. ასეთ პირობებში მე-6 მუხლი ჩვეულებრივ მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიეცეს დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება პოლიციის მიერ დაკითხვის საწყისი სტადიიდან.

საქმეში ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ (Öcalan v Turkey (2005)), განმცხადებელს სიკვდილი მიუსაჯეს, როგორც ქურთების მუშათა პარტიის ლიდერს, ტერორიზმში ბრალდების გამო. მოგვიანებით მას სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს და თურქეთმა სიკვდილით დასჯა გააუქმა. მომჩივანი ჩიოდა, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენებამ დაარღვია კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები (წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა). სტრასბურგოს სასამართლომ საქმე მე-3 მუხლის ჭრილში განიხილა, თუმცა მისი დასკვნები რელევანტურია ორივე მუხლთან მიმართებაში. თავდაპირველად პალატის მიერ 2003 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, ევროსასამართლომ განაცხადა, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ტერიტორია სიკვდილით დასჯისგან თავისუფალ ზონად იქცა და შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯა განიხილება, როგორც სასჯელის არაადამიანურ თუ არა, მიუღებელ ფორმად, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლთან შეუთავსებელია. 2005

წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში დიდმა პალატამ გაიზიარა ეს დასაბუთება და დამატებით განმარტა, რომ მართალია სახელმწიფოებმა აირჩიეს კონვენციის ტექსტის შეცვლის ტრადიციული მეთოდი — მე-13 ოქმის ხელმოსაწერად გახსნით, რომელიც სიკვდილით დასჯას კრძალავს ნებისმიერ ვითარებაში, მაგრამ სიკვდილით დასჯის სრულად გაუქმებისკენ გადამდგარი ეს საბოლოო ნაბიჯი გულისხმობს იმასაც, რომ შევიდა ცვლილება მე-2 მუხლშიც, იმდენად რამდენადაც ეს უკანასკნელი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას მშვიდობიან დროს. თუმცაღა ამ კონკრეტულ საქმეში საჭირო აღარ იყო ამ საკითხზე საბოლოო დასკვნის მიღება.

საქმეში მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა ბრალდებაზე, რომ არსებობდა ტერორიზმში ექვმიტანილ პირთა წინასწარგანზრახული მკვლელობის გეგმა. ამ საქმეში ჯარისკაცებმა ცეცხლსასროლი იარაღით დახოცეს ტერორიზმში ექვმიტანილი პირები. ჯარისკაცებმა აღიარეს, რომ ექვმიტანილთა მოკვლის განზრახვით ისროლეს. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯარისკაცებს მათთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გულწრფელად სჯეროდათ, რომ საჭირო იყო ექვმიტანილთა მოკვლა იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ბომბის აფეთქებისთვის. ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში არ იყო საკმარისი მტკიცებულება იმის დასამტკიცებლად, რომ არსებობდა წინასწარ მოფიქრებული გეგმა ხელისუფლების უმაღლეს ან შუალედურ რგოლებში ან თუნდაც ჯარისკაცებში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ გამოყენებულ იყვნენ სპეცრაზმელები, თავისთავად არ გულისხმობდა იმას, რომ მკვლელობა წინასწარ განზრახული იყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან სპეცრაზმი სპეციალურად იწვრთნება ტერორიზმის დასამარცხებლად, ბუნებრივია, სახელმწიფოს მიერ მათი ძალები გამოიყენება. თუმცა, ევროსასამართლომ კრიტიკულად შეაფასა ის ფაქტი, რომ ჯარისკაცები არ იყვნენ გაწვრთნილნი და ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ კონკრეტული ვითარების მიხედვით განესაზღვრათ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საჭიროება. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ მნიშვნელოვან ასპექტში ჯარისკაცების რეფლექსური რეაქცია არ იყო იმ სიფრთხილის მქონე, რაც მოითხოვება სამართალდამცავი ორგანოებისგან დემოკრატიულ საზოგადოებაში თუნდაც საშიშ ექვმიტანილებთან დაპირისპირების დროს.

მოცემულ საქმეში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ფუნდამენტური დილემის წინაშე იდგნენ. ერთი მხრივ, მათ ეკისრებოდათ ვალდებულება დაეცვათ სამოქალაქო პირების და სამხედრო

მოსამსახურეების სიცოცხლე, ხოლო მეორე მხრივ, მინიმუმამდე დაეყვანათ ძალის გამოყენების საშუალება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ სხვათა სიცოცხლეს. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა, იყო თუ არა იმ ჯარისკაცთა მოქმედება, რომლებმაც სასიკვდილო სროლები განახორციელეს ტერორისტთა წინააღმდეგ, არსებული საფრთხის მკაცრად პროპორციული. სტრასბურგის სასამართლომ შეაფასა ის ინფორმაცია, რომელიც მიეწოდათ ჯარისკაცებს და მიიჩნია, რომ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჯარისკაცები კეთილსინდისიერად ვარაუდობდნენ, რომ აუცილებელი იყო ეჭვიმტანილთათვის სროლა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მნიშვნელოვანი მსხვერპლის გამომწვევი ბომბის აფეთქება. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში განხორციელებული მოქმედებები ჯარისკაცთა მიერ მიჩნეულ იყო როგორც “აბსოლუტურად აუცილებელი” უდანაშაულო მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად. ამ მხრივ სასამართლომ არ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა. თუმცა, საქმეში **მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v United Kingdom (1995))**, სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დაცული აბსოლუტური აუცილებლობის სტანდარტი მე-2.2 (ა) მუხლის მიზნებისთვის. ეს გამომდინარეობდა ხელისუფლების გადაწყვეტილებიდან არ შეეჩერებინათ ტერორისტები ესპანეთიდან გიბრალტარში შემოსვლისას, ასევე იქიდან, რომ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა იმის შესაძლებლობა, რომ ოპერატიული ინფორმაცია შეიძლება მცდარი ყოფილიყო და რომ ჯარისკაცებმა პირდაპირ სასიკვდილო ძალა გამოიყენეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯარისკაცი რომელმაც მოახდინა სავარაუდოდ ბომბის შემცველი მანქანის ზედაპირული დათვალიერება, არ იყო ასაფეთქებლების და რადიო კომუნიკაციების სპეციალისტი და მისი ვარაუდი, რომ მანქანაში ბომბი იდო, დაეფუძნა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მანქანის ანტენა ადგილზე არ იყო.

ამრიგად, ევროსასამართლომ წინამდებარე საქმეზე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევას.

საქმეში **ერგი თურქეთის წინააღმდეგ Ergi v Turkey (1998)**, უშიშროების ძალებმა განახორციელეს ჩასაფრების ოპერაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ერთ-ერთ სოფელში იმისათვის, რომ დაეჭირათ ქურთების მუშათა პარტიის PKK-ის წევრები. მათ ცეცხლი გახსნილი ჰქონდათ ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში, რამაც განმცხადებლის დისა და ქალიშვილის დაღუპვა გამოიწვია. სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა იმის სერიოზული საშიშროება, რომ სოფლის მაცხოვრებლები მოხვდებოდნენ უშიშროების ძალებისა და PKK-ის ტერორისტების სროლების შუაში. სასამართლომ განაცხადა, რომ მაშინაც კი, თუ უშიშროების ძალები იმოქმედებდნენ

სათანადო სიფრთხილით იმისათვის, რომ არ დაეშავებინათ სამოქალაქო მოსახლეობა, არ არსებობდა იმის გარანტია, რომ PKK-ც ასეთივე სიფრთხილეს გამოიჩენდა. არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ მიღებულ იქნა რაიმე ზომა სოფლის მაცხოვრებლების კონფლიქტისგან დასაცავად. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩასაფრების ოპერაცია არ განხორციელდა სათანადო სიფრთხილითა და კონტროლით და შესაბამისად დარღვეულ იქნა მე-2 მუხლი.

საქმეში ჩაკიცი თურქეთის წინააღმდეგ (Çakici v Turkey (1999)), მომჩივანთა განცხადებით მსხვერპლი დაკავების შემდგომ გაუჩინარდა. ამის საწინააღმდეგოდ, მოპასუხე სახელმწიფო აცხადებდა, რომ მსხვერპლი არასოდეს ყოფილა დაკავებული, რომ ის სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში ტერორისტებსა და უშიშროების ძალებს შორის შეტაკებისას დაიღუპა და იგი იდენტიფიცირებულ იქნა მისი დოკუმენტების მეშვეობით. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს არ გაუკეთებია არავითარი ოფიციალური შეტყობინება ერთ-ერთი ტერორისტის გვამთან პირადობის მოწმობის პოვნის შესახებ, ასევე არ წარმოუდგენია არავითარი მტკიცებულება გვამის ამოცნობასა და დასაკრძალად გადაცემასთან დაკავშირებით. ფაქტების ადგილზე მოძიების შემდეგ, კომისიამ გაარკვია, რომ არსებობდა მოწმეთა სარწმუნო და დამაჯერებელი ჩვენება, რომ გარდაცვლილი ნამდვილად დააკავეს. ასევე არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ მოცემული პერიოდის დაკავებების ამსახველი დოკუმენტაცია საეჭვოა და არ წარმოადგენს ზუსტ და სრულ ჩანაწერს იმ პირებისა, ვინც იმ პერიოდში იყვნენ დაკავებულნი. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლთან ერთად დაკავებული ერთ-ერთი პირის ჩვენებით გარდაცვლილი ორ კვირაზე მეტხანს იყო დაკავებული და რომ იგი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ტანსაცმელზე აღენიშნებოდა მიმხმარი სისხლი და ამბობდა, რომ მის მიმართ ძალადობას ჰქონდა ადგილი. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ გარდაცვლილი არარეგისტრირებული დაკავების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი იყო და მოპასუხე სახელმწიფოს განცხადება, რომ მსხვერპლის პირადობის მოწმობა ერთ-ერთ მოკლულ ტერორისტს აღმოაჩნდა “ძალზედ სერიოზული დასკვნების” გაკეთების საფუძველს იძლეოდა იმის შესახებ, რომ მსხვერპლი უშიშროების ძალების მიერ დაკავების შემდგომ გარდაიცვალა. ვინაიდან პირი არარეგისტრირებული დაკავების შემდგომ გარდაცვლილად ჩაითვალა, მის სიკვდილზე სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი მე-2 მუხლიდან გამომდინარე.

საქმეში კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v Turkey (1998)), აპლიკანტი ჩიოდა, რომ მისი ძმა უშიშროების ძალების წარმომადგენლებმა მოკლეს, მაშინ როცა მთავრობა

ამტკიცებდა, თითქოს იგი ტერორისტებსა და უშიშროების ძალებს შორის შეიარაღებული შეტაკების დროს გარდაიცვალა. კომისიამ მიიჩნია, რომ ფაქტების დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, ვინაიდან არც განმცხადებელმა და არც სხვა მნიშვნელოვანმა მოწმეებმა არ წარმოადგინეს ზეპირი ჩვენებები და რომ შეუძლებელი იყო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილიყო, რომ განმცხადებლის ძმა უშიშროების ძალებმა მოკლეს. სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ ამ კუთხით საქმეში არ იყო საკმარისი მტკიცებულებები მე-2 მუხლის დარღვევის დასადგენად. თუმცა, ის რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა ეფექტური გამოძიება მკვლელობის ფაქტზე, იყო მე-2 მუხლის პროცესუალური მოთხოვნების დარღვევა. კერძოდ, პროკურატურამ ეჭვის შეუტანლად მიიღო საქმის ვითარების უშიშროების ძალების მიერ მიწოდებული ვერსია და არ მიიღო არავითარი ზომა მტკიცებულებების დამოუკიდებლად გადამოწმების მიზნით. გამოძიების ვალდებულება ვრცელდება იმ მსხვერპლებზეც, რომლებიც გაუჩინარდნენ დაპატიმრების შემდეგ. ეს ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი, რომელიც ბოლოს სახელმწიფო მოხელეების პატიმრობაში ნახეს, შემდგომ სიცოცხლისთვის სახიფათო ვითარებაში გაუჩინარდა. გამოძიების ჩატარების კუთხით მე-2 მუხლის დარღვევა შეიძლება დადგინდეს მაშინაც კი, როცა განმცხადებელი არ წარმოადგენს იმის საკმარის მტკიცებულებას, რომ პირი სახელმწიფო მოხელეებმა მოკლეს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ არ ჩაატარა ადეკვატური გამოძიება საკმარისია მე-2 მუხლის დარღვევის დასადგენად.

შამაევი და 12 სხვა პირი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ

2002 წლის 4 ოქტომბერს აბდულვაჰაბ შამაევი, რიზვან ვისიტოვი, ჰუსეინ აზიევი, ალდან ადაევი და ჰუსეინ ხაჯიევი საქართველოდან რუსეთში იქნენ ექსტრადირებული, ხოლო იმავე წლის 17 და 18 ოქტომბერს ისინი წინასწარი გამოძიების იზოლატორში მოათავსეს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის მხარის ერთ-ერთ ქალაქში მდებარეობს. მათი პატიმრობის ადგილი უცნობი რჩება.

რაც შეეხება არაექსტრადირებულ პირებს, მ. მარგომვილი გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ 2003 წლის 8 აპრილიდან თავისუფალია, გელოგაევი გათავისუფლებული იქნა 2004 წლის 6 თებერვლის სასამართლოს განჩინებით, ხანჩიკაევი, ისაევი, მაგომადოვი და კუშტანაშვილი 2005 წლის 5 და 6 იანვარს და 18 თებერვალს გათავისუფლდნენ. ხაჩიევი და ბაიმურზაევი რუსეთის ხელისუფლებამ

დააპატიმრა 2004 წლის 19 თებერვალს, მას შემდეგ, რაც ისინი თბილისიდან გაუჩინარდნენ 2004 წლის 16 და 17 თებერვალს. ამჟამად ორივენი ესენტუკის საპატიმროში უნდა იყვნენ.

2002 წლის 3 და 5 აგვისტოს აღნიშნულმა პირებმა გადმოკვეთეს რუსეთ-საქართველოს საზღვარი გირევის საკონტროლო პოსტის მახლობლად. ზოგიერთი მათგანი დაჭრილი იყო და თან ავტომატები და ყუმბარები ჰქონდათ. ქართველი საზღვრის დამცავებისგან დახმარების მიღების შემდეგ მათ ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი. მიღებულ იქნა საზღვრის დამრღვევთა პირადობის დასადგენად საჭირო ზომები - მათი ვინაობა დადგინდა.

შემდეგ ისინი გადაიყვანეს თბილისის ჰოსპიტალში, სადაც მათ ჩაუტარდათ ოპერაცია.

2002 წლის 5 აგვისტოს ტეპუაევის (მარგოშვილი), ვისიტოვის, ბაისაროვის (კუმტანაშვილი), აზიევის, შამაევის, ხაჯიევისა და ისიევის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და საბაჟო წესების დარღვევის, იარაღის შემოტანის, იარაღის უკანონო ტარების, შენახვისა და გადატანის, საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით მათ სამი თვით წინასწარი პატიმრობა მიესაჯათ. ამის შემდეგ დააპატიმრეს ხანოევი, ბაიმურზაევი, ხაჩიევი, უსმანოვი, მირზოევი და ადაევი.

2002 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი თბილისში ჩამოვიდა და აღნიშნულ პირთა ექსტრადიცია მოითხოვა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების არასაკმარისობის გამო მას ამაზე უარი ეთქვა. ამასთან, ქართული მხარის აზრით, ექსტრადიციის შემთხვევაში პატიმართა მიმართ სათანადო მოპყრობისა და მათი უფლებების დაცვის გარანტიები არ არსებობდა.

2002 წლის სექტემბერში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს მიაწოდეს მათ მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები: დადგენილება ჩეჩნეთში მოქმედი ფედერალური გენერალური პროკურატურის სამსახურის მიერ თითოეული პირის საქმის განხილვის თაობაზე, მათ მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შეტყობინება, სასამართლო დადგენილების დამოწმებული ასლები, რუსეთში მათ წინააღმდეგ აღძრული საქმის ამონაწერები, ფოტოსურათები, პასპორტის ასლები და სხვ.

დაკავებულებს რუსეთში ბრალად ედებოდათ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოების მუშაკებზე ფიზიკური ძალადობა, უკანონო შეიარაღებული

ფორმირების ორგანიზება და ამ ფორმირებებში მონაწილეობა, იარაღით ვაჭრობა, რუსეთის ფედერაციის საზღვრის უკანონო გადაკვეთა. გენერალურმა პროკურატურამ რუსული მხარისაგან მოითხოვა გარანტიები, რომ დაკავებულები სიკვდილით არ დაისჯებოდნენ. რუსეთის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს პიროვნებები სიკვდილით არ დაისჯებოდნენ სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის არსებობის გამო, რომელიც რუსეთში ძალაშია 1996 წლიდან. მოგვიანებით, ბრალდებები ხელახლა განისაზღვრა და გაფართოვდა. ისინი ტერორიზმსა და ბანდიტიზმშიც დაადანაშაულეს.

2002 წლის 4 ოქტომბერს თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე მოხდა 5 მოსარჩელის გადაცემა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებისთვის. ესენი იყვნენ ხაჯიევი, ვისიტოვი, შამაევი, ადაევი, ხოლო აზიევი ტელევიზიით გაშუქებულ არც ერთ სიუჟეტში არ ჩანს.

ამის შემდეგ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მადლობის წერილი გამოუგზავნა ქართულ მხარეს და აცნობა, რომ დაკავებულებს ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება, უზრუნველყოფილ იქნენ იურიდიული დახმარებით და გამოძიებაც კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდა.

2002 წლის 28 ოქტომბერს რუსულმა მხარემ მოითხოვა გელოგაევის, ბაიმურზაევის, ხაჩიევისა და მირზოევის ექსტრადიცია. საპასუხო წერილში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნა, რომ თბილისში პატიმრობაში მყოფი რვა პირის მიმართ რუსეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი წინასწარი დაკავების დადგენილებაში მოხსენიებული გვარები არ შეესაბამებოდნენ მათ რეალურ გვარებს და საჭირო იყო მათი ვინაობის დადგენა.

მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ბაიმურზაევის, მირზოევის და ხაჩიევის შესაბამისად ერქვათ მავლადინოვიჩი, გელოგაევი და ელიხაჯიევი და ისინი რუსეთის მოქალაქეები იყვნენ, ქართულმა მხარემ თანხმობა განაცხადა მათ ექსტრადიციაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება დაკავებულებმა სასამართლოში გაასაჩივრეს და ექსტრადიციის გაუქმება მოითხოვეს, თუმცა ამაზე უარი ეთქვათ. სასამართლომ კანონიერად ჩათვალა ხაჩიევისა და გელოგაევის ექსტრადიცია. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ხაჩიევის იდენტიფიცირება ვერ ხერხდებოდა, ამიტომ მისი ექსტრადიციის შეჩერება და

დამატებითი ძიებისთვის მისი საქმის გენერალური პროკურატურისთვის გადაგზავნა გადაწყვიტა.

ევროპული სასამართლოს შეფასება: შამაევმა და სხვა პატიმრებმაც მიმართეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს. მათი განმარტებით, დაირღვა აზიევის სიცოცხლის უფლება. მათ მიაჩნდათ, რომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ექსტრადირებული მოსარჩელები რუსეთში სასიკვდილო განაჩენის გამოტანის, გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯის და ცუდი მოპყრობის რისკის წინაშე დააყენეს. რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაცემის შემთხვევაში სხვა მოსარჩელებიც იმავე ბედს გაიზიარებდნენ.

კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად:

„1. ადამიანის უფლება სიცოცხლეზე დაცული იქნება კანონის მიერ. არავის სიცოცხლე არ შეიძლება იყოს განზრახ ხელყოფილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება პიროვნების დამნაშავედ აღიარების შემდეგ და როცა ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კანონი.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად, თუ იგი წარმოდგენს ძალის გამოყენების შედეგს, რომელიც არ სცილდება საჭიროების ფარგლებს:

a. ნებისმიერი პიროვნების უკანონო ხელყოფისგან დასაცავად;

b. რათა მოხდეს კანონიერი დაპატიმრება ან აღიკვეთოს კანონიერად დაკავებული პირის გაქცევა;

c. ამბოხებისა და ჯანყის ჩასახშობად კანონიერად მიღებული ზომების დროს“.

კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი“.

მოსარჩელეთა წარმომადგენლების მიხედვით, აზიევი გარდაიცვალა საქართველოში ან რუსეთში მისი ექსტრადიციის დროს. ისინი ძირითადად იმ მტკიცებებს ეყრდნობოდნენ, რომლებიც მათ თბილისში ჩატარებული სასამართლო პროცესის

დროს მოისმინეს, და კიდევ - „ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის საგარეო საქმეთა მინისტრის“ განცხადებას. მათ ისიც საეჭვოდ მიაჩნდათ, რომ აზიევი არ ჩანდა ვიდეოჩანაწერში, რომელიც თბილისის აეროპორტშია შესრულებული მოსარჩელების რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაცემის მომენტში.

რუსეთის ხელისუფლება უარყოფდა ამ მოსაზრებას და ამტკიცებდა, რომ აზიევი ცოცხალი და ჯანმრთელი იყო. მან წარმოადგინა აზიევის სურათები მისი ექსტრადიციის შემდეგ, რომლებსაც თან ერთვოდა სამედიცინო დასკვნები. საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლების მტკიცებას იზიარებდა.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, აზიევის უფლებები არ დარღვეულა.

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ისინი არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ „ჯანმრთელნი“ რუსეთში ჩასვლისას და რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ 2002 წლის 14 ნოემბერს წარმოდგენილ სამედიცინო დასკვნებში არაფერი იყო ნათქვამი იმ ჭრილობების შესახებ, რომლებიც 2002 წლის 3 და 4 ოქტომბერს ქართული სპეცდანიშნულების რაზმის ჩარევამ გამოიწვია. გარდა ამისა, განმცხადებელთა აზრით, შეუძლებელი იყო ქართულ მხარეს არ სცოდნოდა, რომ რუსების მოპყრობა დაკავებული ჩეჩნების მიმართ სასტიკი იქნებოდა.

ქართულმა მხარემ ის დოკუმენტები და გარანტიები მოიშველია, რაც რუსეთის მხრიდან იყო გაცემული ექსტრადირებულების მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით.

თუმცა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეს საკმარისი არ იყო და შესაბამისად საქართველოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ოფიციალურად არასდროს ყოფილან დაკავებულები მათი ექსტრადიციის მიზნით, და მათ პატიმრობაში აყვანას შეიძლებოდა პატიმრობის შენიღბული ფორმის სახე მისცემოდა, რაც იკრძალება კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით.

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილების თანახმად:

„1. ყველას აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავის წაერთმევა თავისუფლება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა და ეს მოხდება კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

გ. პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება განხორციელებული იმ მიზნით, რომ მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დაპატიმრება ან დაკავება კანონზომიერად აუცილებლად განიხილება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან შემდგომი მისი გაქცევის თავიდან აცილებისთვის;

დ. პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება მის მიერ ქვეყანაში უკანონოდ შესვლის აღკვეთისთვის ან იმ პიროვნების დაპატიმრება ან დაკავება, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან გადაცემისთვის.

2. ყველა დაპატიმრებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ მისი დაპატიმრების მიზეზებსა და მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს.

4. დაპატიმრებით ან დაკავებით თავისუფლებააღკვეთილ ყველა პირს უფლება მიეცემა განახორციელოს ქმედებანი, რომლითაც მისი დაკავების კანონზომიერება სწრაფად გადაწყდება სასამართლოს მიერ და გათავისუფლდება, თუ მისი დაკავება არ არის კანონიერი“.

საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, მოსარჩელების პატიმრობის პირობები შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ ნაწილის „ვ“ მოთხოვნებს, რადგან ისინი გაფრთხილებული იყვნენ მათი ექსტრადიციის პროცედურასთან დაკავშირებით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეთა პატიმრობა ყოველთვის შეესაბამებოდა იმ გამონაკლისებს, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, და არ იყო უკანონო. ამდენად, კონვენციის აღნიშნული მუხლის დარღვევას იმ საკითხში, რომელიც ეხება მოსარჩელეთა სადავო პატიმრობას, საქართველოში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მეორე და მეოთხე პუნქტები.

მოსარჩელეთა წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მათ აეროპორტში გაყვანამდე შეიტყვეს ექსტრადიციის შესახებ.

ექსტრადიციის გადაწყვეტილების შეტყობინების არარსებობის გამო მათ არ ჰქონდათ საშუალება სასამართლოსთვის მიემართათ.

კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად:

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილ იქნას იმ პირების მიერ, რომლებიც სარგებლობდნენ ოფიციალური უფლებამოსილებით“.

ევროსასამართლოს შეფასებით, 2002 წლის 4 ოქტომბერს ექსტრადირებულ ხუთ მოსარჩელესთან დაკავშირებით უგულებელყოფილი იქნა კონვენციის მე-13 მუხლი. ამასთან, საქართველომ დაარღვია თავისი ვალდებულებები, რაც მას აკისრია კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს ხელი არ შეუშალოს პიროვნებას სასამართლოში სარჩელის შეტანისა და თავისი საქმის ეფექტურად დაცვის უფლების გამოყენებაში.

ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული ვალდებულება დაირღვა რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც, რადგან მათ მიერ მიღებულმა ზომებმა ხელი შეუშალა შამაევის, აზიევის, ვისიტოვის, ხაჯიევის, ადაევის, ბაიმურზაევისა და ხაჩიევის სარჩელის უფლების გამოყენების ეფექტურობას.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საგამომიებო მისიის შესრულებისთვის დაბრკოლების შექმნის დროს და რუსეთში პატიმრობაში მყოფ მოსარჩელებთან დაშვებაზე უარის თქმით, რუსეთის ხელისუფლებამ მიუღებელი ფორმით ხელი შეუშალა ამ ფაქტების დადგენას. აქედან გამომდინარე, მათ არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ კონვენციის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუკი სასამართლო გამოაცხადებს, რომ განაცხადი მიღებულია, იგი შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად, და, თუ საჭირო იქნება, ჩაატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტური განხორციელებისთვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებას.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ თერთმეტი მოსარჩელე გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ხუთი მათგანის ექსტრადიციის მცდელობისას, და ყველა მოსარჩელის უფლება, რომელიც გარანტირებულია მე-5 მუხლის მეორე და მეოთხე პუნქტებით, დარღვეულ იქნა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. მოსარჩელებს მიადგათ მორალური ზარალი. შესაბამისად, შამაევს, აზიევს, ხაჯიევს და ვისიტოვს, რომლებიც ექსტრადირებული

იქნენ, მორალური ზარალის ასანაზღაურებლად გამოეყოთ 8000 ევრო; ადაევს - 6000 ევრო; ისაევს, კუმტანაშვილს, ხაჩუკაევს, მაგომადოვს, გელოგაევს, ხაჩიევს და ბაიმურზაევს - 4000 ევრო; მარგოშვილს - 2500 ევრო; შამაევს, აზიევს, ხაჯიევს და ვისიტოვს, რომლებიც ექსტრადირებული იყვნენ, - 3000 ევრო მორალური ზარალისათვის, რაც საქართველოს მიერ 34-ე მუხლის დარღვევის შედეგია, ხოლო რუსეთის მიერ აღნიშნული მუხლის დარღვევის გამო - 6000 ევრო. ამასთან, მოსარჩელებს აუნაზღაურდებოდათ იურიდიული მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები.

საადი (Saadi) იტალიის წინააღმდეგ - 37201/06

გადაწყვეტილება 28.2.2008 [დპ]

მე-3 მუხლი

ფაქტები: განმცხადებელი ტუნისის მოქალაქეა. 2001 წელს მასზე გაიცა იტალიის ბინადრობის მოწმობა. 2002 წელს ის დააკავეს და განათავსეს წინასწარ პატიმრობაში საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობის ეჭვით. 2005 წელს მას იტალიის პირველი ინსტანციის სასამართლომ შეუფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა დანაშაულებრივი შეთქმულების, გაყალბებისა და ნაქურდალი ნივთების მიღებისთვის. დიდი პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღეს იტალიურ სასამართლოებში სააპელაციო წარმოება მიმდინარეობდა. 2005 წელსვე ტუნისის სამხედრო სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა განმცხადებელი და მიუსაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მშვიდობიან დროს საზღვარგარეთ მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის და ტერორიზმის მხარდაჭერისთვის. 2006 წლის აგვისტოში ის გაათავისუფლეს პატიმრობიდან, მოიხადა რა სასჯელი იტალიაში. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე გასცა ბრძანება მისი ტუნისში დეპორტირების შესახებ. განმცხადებლის თხოვნა პოლიტიკურ თავშესაფარზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის (დროებითი ღონისძიება) საფუძველზე სასამართლომ სთხოვა იტალიის ხელისუფლებას გაძევების შეჩერება მომდევნო შეტყობინებამდე.

სამართალი: ევროპული სასამართლო ვერ უგულებელყოფდა ტერორიზმის საფრთხეს და იმ სირთულეებს, რასაც სახელმწიფოები აწყდებიან ტერორისტული ძალადობისგან თავიანთი მოსახლეობის დაცვისას. თუმცა, შეუძლებელი იყო

ადამიანის წინაშე არსებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის რისკის და საზოგადოებისათვის მისგან მომდინარე საფრთხის შეფასება სანამ მას დააბრუნებდნენ. საზოგადოებისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის პერსპექტივა ვერანაირად ვერ აკნინებდა დეპორტირების შემთხვევაში მისთვის მოსალოდნელი ზიანის რისკს. აქედან გამომდინარე, არასწორი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი განიხილება საზოგადოებისთვის და თვით ეროვნული უსაფრთხოებისთვის მაღალი საფრთხის მატარებელად, მოთხოვნილ იქნას მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტი, რადგანაც ასეთი მიდგომა შეუსაბამობაში მოდის მე-3 მუხლის აბსოლუტურ ბუნებასთან. ეს მიგვიყვანდა იმ დასკვნამდე, რომ მაღალი სტანდარტის მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში ეროვნული უსაფრთხოების დაცვა გაამართლებდა ადამიანის მიმართ არსებული არასათანადო მოპყრობის რისკზე უფრო მარტივად დათანხმებას. სასამართლომ კვლავ დაადასტურა, რომ იძულებითი გაძევების კონვენციასთან შეუსაბამობისთვის აუცილებელი - და საკმარისი - იყო არსებითი საფუძვლების წარმოჩენა იმის დასაჯერებლად, რომ არსებობდა მიმღებ ქვეყანაში განმცხადებლის არასათანადო მოპყრობასთან მაღალი რისკი. სასამართლომ მიუთითა Amnesty International-ის და Human Rights Watch-ის ანგარიშებზე, სადაც აღწერილი იყო ტუნისში არსებული შემამფოთებელი მდგომაროება, რასაც ასევე ადასტურებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიც. ამ ანგარიშებში მითითებული იყო ტერორიზმში ბრალდებული პირების წამების მრავალი და რეგულარული შემთხვევები. ანგარიშებში ასახული პრაქტიკა - რასაც ანგარიშების თანახმად, დაკავებული პირები ძირითადად ექვემდებარებოდნენ პოლიციის იზოლაციურებში - მოიცავდა ჭერში დაკიდებას, გაუპატიურების მუქარას, ელექტროშოკის გამოყენებას, თავით წყალში იძულებით ჩაყვინთვას, ცემასა და სიგარეტით დაწვას. ანგარიშები ასევე უთითებდა, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებები არ იყო გამოძიებული ტუნისის კომპეტენტური ორგანოების მიერ. ეს უკანასკნელი როგორც წესი იყენებდა აღიარებებს, რომლებიც მოპოვებული იყო ზეწოლის შედეგად, რაც ბრალდების უზრუნველსაყოფად ხორციელდებოდა. სასამართლოს ექვეყვემ არ დაუყენებია ეს ანგარიშები და აღნიშნა, რომ იტალიის ხელისუფლებას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ამ მტკიცების გაბათილება. ტუნისში ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის განმცხადებლის მსჯავრდების გათვალისწინებით არსებობდა არსებითი საფუძვლები იმის სარწმუნოდ, რომ ტუნისში დეპორტირების შემთხვევაში ის დაექვემდებარებოდა მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას. უფრო მეტიც, ტუნისის სახელმწიფო ორგანოებმა იტალიის ხელისუფლების მოთხოვნის საფუძველზე არ წარმოადგინეს

დიპლომატიური გარანტია. პატიმართა უფლებების შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის არსებობა და საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მიერთება, რაც აღინიშნა ტუნისის საგარეო საქმეთა სამინისტროს notes verbales-ში, არ იყო საკმარისი არასათანადო მოპყრობის რისკისგან ადეკვატური დაცვის უზრუნველსაყოფად, რადგანაც განმცხადებლის საქმეზე სარწმუნო წყაროები უთითებდნენ კონვენციის პრინციპების ამკარად საწინააღმდეგო პრაქტიკის არსებობაზე. უფრო მეტიც, ტუნისის სახელმწიფო ორგანოების მიერ დიპლომატიური გარანტიის გაცემაც ვერ გაათავისუფლებდა სასამართლოს ვალდებულებისგან, შეესწავლა, ასეთი გარანტია უზრუნველყოფდა თუ არა განმცხადებლის დაცვას ასეთი მოპყრობის რისკისგან. დადგენილება: დარღვევა, თუკი განმცხადებლის ტუნისში დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილება აღსრულდება (ერთხმად). 41-ე მუხლი - დარღვევის დადგენა თავისთავად წარმოადგენს სამართლიან დაკმაყოფილებას მიმდინარე არამატერიალური ზიანისთვის.

ოთმან (აბუ ქატადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ - 8139/09

გადაწყვეტილება 17.1.2012

[IV სექცია]

მუხლი 6

სისხლის სამართლებრივი პროცედურები

გაძევება მუხლი 6-1

სამართლიანი განხილვა

მუხლი 3

გაძევება

ფაქტები – მომჩივანი, იორდანის მოქალაქე, ჩავიდა გაერთიანებულ სამეფოში 1993 წელს და მიენიჭა თავშესაფარი. იგი დაკავებულ იქნა 2002 წლიდან 2005 წლამდე 2001 წლის ანტი-ტერორიზმის, დანაშაულის და უსაფრთხოების აქტის საფუძველზე. მისი გათავისუფლების შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა გადასცა მომჩივანს შეტყობინება დეპორტაციის განზრახვის შესახებ. ამასთან ერთად, 1999 და 2000 წლებში მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა in absentia იორდანიაში აფეთქებების და დაბომბვის

განხორციელების განზრახვის ბრალდების გამო. ძირითადი მტკიცებულება მომჩივანის წინააღმდეგ ყველა პროცესზე რომელიც დასრულდა მსჯავრდებით, გახლდათ ორი თანაბრალდებულის მაინკრიმინირებელი განცხადებები, რომლებმაც შემდეგში შეიტანეს საჩივარი წამების შესახებ. 2005 წელს გაერთიანებულ სამეფოს და იორდანის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რამაც დაადგინა მთელი რიგი გარანტიები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც უნდა იქნეს დაცული როდესაც ხდება ინდივიდის დაბრუნება ერთი სახელმწიფოდან მეორეში. მან აგრეთვე გაითვალისწინა ნებისმიერი პირისათვის რომელიც დაბრუნებულ იქნა დროული და რეგულარული ვიზიტები დამოუკიდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ, რომელიც შერჩეულია, ერთობლივად, ორივე მთავრობის მიერ. Adaleh Centre for Human Rights Studies შემდგომში ხელი მოაწერა შეთანხმებას გაერთიანებული სამეფოს მთავრობასთან ამ საკითხთან მიმართებაში. მომჩივანის საქმეში დამატებითი კითხვები იქნა დასმული შესაძლო ხელახალ გასამართლებასთან მიმართებაში და პასუხები გაცემულ იქნა იორდანის მთავრობის მიერ. მომჩივანმა შეიტანა საჩივარი მისი დეპორტაციის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, მაგრამ მისი საჩივრები, ფრთხილი შესწავლის შემდეგ, ადგილობრივი სასამართლოების მიერ, საბოლოოდ იქნა უარყოფილი.

სამართალი– მუხლი 3: გაეროს და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები მიუთითებდნენ რომ წამება იორდანიაში დარჩა “ფართოდ გავრცელებული და რუტინული” და მხარეებმა აღიარეს რომ იორდანის მთავრობის მიერ გარანტიების გარეშე შექმნიდა რეალურ რისკს მომჩივანის, ცნობილი ისლამისტის, არაადამიანური მოპყრობის თვალსაზრისით. ამასთან კავშირში, სასამართლომ აღნიშნა რომ მხოლოდ ცალკეულ საქმეებში ზოგადი სიტუაცია შეიძლება გულისხმობდეს რომ არანაირი დატვირთვა არ მიეცეს გარანტიებს, რომლებიც იქნა წარმოდგენილი. უფრო ხშირად, სასამართლო ანალიზებდა, უპირველესყოვლისა, მიცემული განარტიების ხარისხს (რამდენადაც ისინი იქნა გაზიარებული სასამართლოსათვის, რამდენად ისინი იყო სპეციფიკური, რამდენად ისინი იყო სავალდებულო მიმღები ქვეყნისათვის, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე და რამდენად მათი სანდოობა შემოწმებულ იქნა გამგზავნი/მონაწილე სახელმწიფოს ადგილობრივ სასამართლოების მიერ) და მეორეს მხრივ, რამდენად მიმღები სახელმწიფოს პრაქტიკის მიხედვით ისინი შეიძლება იქნეს სანდოდ მიჩნეული (რამდენად მიმღები სახელმწიფო იყო მონაწილე სახელმწიფო, რამდენად მან მიანიჭა ეფექტური დაცვა წამების საწინააღმდეგოდ და უკანონოდ გამოაცხადა ის მოქმედება რომლებთანაც დაკავშირებულია გარანტიები, რამდენად

არსებობდა მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობები გამგზავნ სახელმწიფოსთან და შებოჭილი იყო მსგავსი განარტიებით წარსულში, რამდენად მომჩივანი ადრე იყო არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი და რამდენად ადექვატურ ღონისძიებებს ქონდა ადგილი მიმღებ სახელმწიფოში, რათა დაემზა ეფექტური მონიტორინგი და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა მომჩივანისთვის მისი ადვოკატისადმი).

მომჩივანის საქმეში გაერთიანებულმა სამეფომ და იორდანის მთავრობამ მიიღეს გონივრული ღონისძიებები, რათა მოეპოვებინათ და წარმოედგინათ გამჭვირვალე და დეტალური გარანტიები რათა უზრუნველყოთ, რომ პირი არ იქნებოდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი მისი იორდანიაში დაბრუნების შემდეგ. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, დეტალურობითა და ფორმალობის დაცვით, უპირატესი იყო ნებისმიერ სხვა გარანტიებთან შედარებით, რომლებიც ადრე ევროსასამართლოს შეუსწავლია. მეტიც, გარანტიები გაცემულ იქნა კარგი განზრახვით და დამტკიცებული იორდანის მთავრობის უმაღლესი ორგანოების მიერ, რომელთა ორმხრივი ურთიერთობები გაერთიანებულ სამეფოსთან ისტორიულად იყო ძალზედ ძლიერი. ურთიერთგაგების მემორანდუმი ითვალისწინებდა რომ მომჩივანი დეპორტირებული იქნებოდა იორდანიაში, სადაც მოხდებოდა მისი დაკავება და განმეორებით გასამართლება იმ დანაშაულებისთვის, რომლების გამოც მოხდა მისი მსჯავრდება *in absentia* მომჩივანის ცნობადობა მაღალი ალბათობით უზრუნველოფდა რომ იორდანის ხელისუფლების ორგანოები ყოფილიყვნენ ფრთხილები რათა უზრუნველყოთ მისი შესაფერისი მოპყრობა, რადგან რაიმე არასათანადო მოპყრობა არა მარტო იქონიებდა სერიოზულ შედეგებს ქვეყნის ორმხრივ ურთიერთობებზე გაერთიანებულ სამეფოსთან, არამედ გამოიწვევდა საერთაშორისო გამოხმაურებას. ბოლოს, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით, მომჩივანი რეგულარულად იქნებოდა მონახულებული „Adaleh” ცენტრის მიერ, რომელსაც ექნება შესაძლებლობა გადაემოწმებინა რამდენად იყო გარანტიები დაცული. შედეგად, მომჩივანის დაბრუნება იორდანიაში არ გამოიწვევდა მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკის წარმოშობას.

დასკვნა: მე-3 მუხლთან დაკავშირებით, დეპორტაცია არ გამოიწვევდა დარღვევას (ერთხმად).

მუხლი 5: სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-5 მუხლი გამოიყენებოდა გაძევების საქმეებზე და მონაწილე სახელმწიფო დაარღვევდა მოცემულ დებულებას, თუ მოხდებოდა მომჩივანის გაძევება იმ სახელმწიფოში, სადაც ის იქნებოდა მოცემული მუხლით დაცული უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის რისკის ქვეშ. თუმცა, ძალზედ მაღალი თამასა გამოიყენება მოცემულ საქმეებში. იორდანის კანონის

თანახმად, მომჩივანი უნდა წარედგინა სასამართლო განხილვაზე მისი დაკავების მომენტიდან ორმოცდაათი დღის განმავლობაში, რაც სასამართლოს მოსაზრებით, არასაკმარისი იყო იმ დაკავების ვადისათვის, რაც შეიძლება ჩათვლილიყო მე-5 მუხლის სერიოზულ დარღვევად.

დასკვნა: მე-5 მუხლთან დაკავშირებით, დეპორტაცია არ გამოიწვევდა დარღვევას (ერთხმად).

მუხლი 6: მომჩივანი ჩიოდა, რომ თუ მოხდებოდა მისი დაბრუნება იორდანიაში, მისი ხელახალი გასამართლება იქნებოდა მართმსაჯულების არსებითი დარღვევით, რადგან, *inter alia*, მოხდებოდა წამების შედეგად მიღებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობა. სასამართლომ მიიჩნია რომ მართლმსაჯულების არსებითი დარღვევა ექცეოდა უბრალო დარღვევების ან იმ პროცესის გარეთ, რომლის დროსაც შესაბამისი გარანტიების არარსებობას შეიძლება გამოეწვია მე-6 მუხლის დარღვევა, თუ ეს მოხდებოდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში. აღნიშნული მოთხოვნა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დარღვევას წარმოადგენდა, რომელიც იმდენად ფუნდამენტური გარანტიაა, რომ მისი დარღვევა მე-6 მუხლით განმტკიცებული უფლების რეალური არსის გაუფასურებას ან განადგურებას გამოიწვევდა. ამასთან კავშირში, სასამართლომ აღნიშნა რომ წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა რეალურად წინააღმდეგობაში იქნებოდა არა მარტო კონვენციის მე-6 მუხლთან, არამედ სამართლიანი სასამართლოს ძირითად საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან. ეს განაპირობებს რომ პროცესი იქნება არამორალური, არალეგალური და სრულად არასანდო მისი შედეგის თვასლაზრისით. წამების შედეგად მიღებული მტკიცებულების დასაშვებად გამოცხადება სისხლის სამართლის პროცესზე შესაბამისად შეიძლება ჩაითვალოს მართმსაჯულების არსებით წართმევად. მაინკრიმინებული განცხადებები მომჩივანის საქმეში მიცემულ იქნა ორი სხვადასხვა მოწმის მიერ. ორივე მათგანი წამების, კერძოდ, ფეხის გულებზე ცემის, მსხვეპლი გახდა. აღნიშნული წამების მეთოდი ცნობილია „ფალაკას“ სახელმწიფოდებით. წამების მიზანი შეიძლება მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება იყოს. სასამართლომ ადრე განიხილა არაადამიანური მოპყრობის მოცემული ფორმა და არანაირი ყოყმანი არ ქონია რომ დაეხასიათებინა იგი როგორც წამება. მეტიც, წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება იორდანიაში ფართოდ იყო გავრცელებული და სამართლებრივი გარანტიები, რომლებსაც იორდანის კანონმდებლობა ითვალისწინებდა, როგორც ჩანს, პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს ექნებოდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა იმ ჩვენებების დასაშვებობა, რომლებიც

მოპოვებულ იქნა წამების შედეგად, მას შეექმნებოდა მნიშვნელოვანი სირთულეები ამის მცდელობის დროს, ამდენი წლის შემდეგ, ამ მოვლენების შემდეგ და ამავე სასამართლოს წინაშე, რომელიც სისტემატურად უარყოფდა მსგავს საჩივრებს. წარმოადგინა რა კონკრეტული და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ თანაბრადებულები, მის წინააღმდეგ საქმის წარმოებისას, დაექვემდებარენ წამებას და რომ მოცემული მტკიცებულება მაღალი ალბათობით გამოყენებული იქნებოდა მისი ხელახალი გასამართლების დროს, მომჩივანმა დააკმაყოფილა დადგენილი მაღალი მტკიცების სტანდარტი, რათა დაედასტურებინა, რომ მისი იორდანიში დეპორტაციის შემთხვევაში, არსებობდა მართლმსაჯულების უკანონოდ განხორციელების რეალური რისკი.

დასკვნა: მე-6 მუხლთან დაკავშირებით, დეპორტაცია გამოიწვევდა დარღვევას (ერთხმად)

დელ რიო პრედა ესპანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] - 42750/09

2013 წლის 21 ოქტომბრის განჩინება [დიდი პალატა]

მე-7 მუხლის პირველი ნაწილი

უფრო მძიმე სასჯელი Nulla poena sine lege

უკუძალა

მე-5 მუხლი

მე-5 მუხლის პირველი ნაწილი

კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება

ფაქტები – 1988 წლიდან 2000 წლამდე სისხლის სამართლის მიმართულებით გამოძიების რვა სხვადასხვა ჯგუფის შედეგად მომჩივანს რამდენიმე განაჩენი გამოუტანეს. მისმა სასჯელმა, სხვადასხვა ტერორისტული თავდასხმის დანაშაულისათვის, საბოლოო ჯამში 3000 წელი შეადგინა. 2000 წლის ნოემბერში, დანაშაულებს შორის არსებული სამართლებრივი კავშირის გამო, ეროვნულმა სასამართლომ გააერთიანა მომჩივნის სასჯელები და მიუსაჯა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს სასჯელი შეესაბამებოდა 1973 წლის სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის ლიმიტს. 2008 წლის აპრილში

ციხის ადმინისტრაციამ, მომჩივანს გათავისუფლების თარიღად განუსაზღვრა 2008 წლის ივლისი. ეს განპირობებული იყო მის მიერ 1987 წლიდან ციხეში შესრულებული სამუშაოს მხედველობაში მიღებით. შესაბამისად, 2008 წლის მაისში ეროვნულმა სასამართლომ მიმართა ციხის ადმინისტრაციას, რომ გადაეხედა მომჩივნის დაგეგმილი გათავისუფლების თარიღისთვის და განესაზღვრა იგი ახალი მიდგომის შესაბამისად (ცნობილია როგორც ე.წ. „პაროტის დოქტრინა“), რომელიც დაადგინა უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის თებერვლის გადაწყვეტილებაში. დოქტრინის თანახმად, შესაბამისი სასჯელი და გათავისუფლება გამოყენებული უნდა ყოფილიყო თითოეულ სასჯელთან ინდივიდუალურად და არა მაქსიმალური სასჯელის, 30 წლით თავისუფლების აღკვეთის მიმართ. შედეგად, მომჩივნის გათავისუფლების საბოლოო თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 27 ივნისი. მისი შემდგომი გასაჩივრება წარუმატებელი აღმოჩნდა.

2012 წლის 10 ივლისს მიღებული განჩინებით (იხ. საინფორმაციო ბროშურა N154) სასამართლოს პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 და მე-7 მუხლები. სასამართლომ მიუთითა, რომ სასჯელისგან გათავისუფლების ახალი მეთოდის გამოყენება არ იყო წინასწარ ცნობილი მაშინ, როდესაც მომჩივნის მიმართ განაჩენი გამოიტანეს. შესაბამისად, მას ჰქონდა უკუძალა, რომელიც მომჩივნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ შეფარდებულ სასჯელს ამძიმებდა.

სამართალი – მე-7 მუხლი: მხარეთა არგუმენტები ძირითადად უკავშირდება მომჩივნის საბოლოო სასჯელის გამოთვლას სასჯელის გაერთიანების და მაქსიმალური პატიმრობის ვადის განსაზღვრის წესისა და 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სისტემის შესაბამისად. სისტემა უკავშირდება სასჯელისგან გათავისუფლებას, შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით.

(ა) *გამოყენებული სასჯელის ფარგლები* – 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს, მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული სასჯელი გამოიყენება (condena) რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დანაშაულის დროს. ეს განსხვავდება „სასჯელის“ (penas) კონცეფციისგან, ან დამნაშავის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენებისგან. გარდა ამისა, „მისჯილი სასჯელისგან“ გათავისუფლების მიზნით პატიმრებს მიეცათ უფლება, ყოველი ორი სამუშაო დღის სანაცვლოდ, მიეღოს თავისუფლების ერთი დღე. თუმცა, არ არსებობდა სასჯელისგან გათავისუფლების გამოყენების სპეციალური ნორმა იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც სასჯელთა

გაერთიანების გამო სასჯელის სახით განსაზღვრული იყო მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთა. სწორედ ეს გარემოება არსებობდა მომჩივნის საქმეში, სადაც თავისუფლების აღკვეთა ათასობით წლის ვადით, შემცირდა 30 წლამდე. ეს იყო მანამდე ვიდრე ახალი 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსი არ მიიღეს. სისხლის სამართლის კოდექსით, ნათლად დადგინდა, რომ სასჯელის განსაზღვრისას გამონაკლის საქმეებში მხედველობაში მიიღებოდა სხვადასხვა დანაშაულისათვის დაკისრებული სასჯელის ერთიანობა ვიდრე, კანონით განსაზღვრული მაქსიმალური სასჯელის ზომა.

1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულების ინტერპრეტაციის პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, ციხის ადმინისტრაცია და სასამართლო, შესრულებული სამუშაოსათვის სასჯელისგან გათავისუფლებას იყენებდა მაქსიმალური ვადით განსაზღვრული სასჯელის მიმართ. ეს იყო უზენაესი სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილებამდე, როდესაც პატიმრის სასჯელი გაერთიანდა და განისაზღვრა მაქსიმალური თავისუფლების აღკვეთის ვადით. ამიტომ პატიმრობაში ყოფნის დროს შესრულებული სამუშაოს გამო გათავისუფლების გამოყენებისას, მათ მხედველობაში მიიღეს მაქსიმალური, 30 წლით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადა. 1994 წლის მარტის გადაწყვეტილებაში სასამართლომ, მაქსიმალური, 30 წლით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის ვადაზე მიუთითა, როგორც „ახალ დამოუკიდებელ სასჯელზე“, რომლის მიმართაც უნდა გამოყენებულიყო ნებისმიერი რეგულირება, რაც კანონით იყო განსაზღვრული. შესაბამისად, მიუხედავად 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი დებულებების ბუნდოვანებისა და იმ ფაქტისა, რომ უზენაესმა სასამართლომ მათ ნათელი არ მოჰგინა 1994 წლამდე, არსებობს ციხისა და სასამართლო ხელისუფლების ცალსახა პრაქტიკა. პრაქტიკის თანახმად, იმ სასჯელის მიმართ, რომელიც 30 წლის ზედა ზღვრით იყო განსაზღვრული, როგორც ახალი დამოუკიდებელი სასჯელის მიმართ, უნდა გამოყენებულიყო პატიმრობის დროს შეუსრულებული სამუშაოს მიხედვით სასჯელისგან გათავისუფლების ზომა. პრაქტიკიდან გამომდინარე, მომჩივანი მაშინ, როდესაც მას სასჯელი შეუფარდეს, უფლებამოსილი იყო ერწმუნა ის, რომ განისაზღვრა ერთი სასჯელი – 30 წლის მაქსიმალური ვადით, რომელიც შეიძლება შემცირებულიყო პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოსათვის გათვალისწინებული გათავისუფლებით. გარდა ამისა, პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოსათვის სასჯელისგან გათავისუფლების ზომა ნათლად იყო გათვალისწინებული კანონით, რომელიც მოითხოვდა პატიმრობისათვის გათვალისწინებული ვადის ავტომატურად შემცირებას, როგორც შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურებას. გამონაკლისია ორი შემთხვევა:

როდესაც პატიმარი გაიქცა ციხიდან, ან შეეცადა გაქცევას, ან როდესაც იგი ცუდად იქცეოდა. ამ შემთხვევებშიც კი, მოსამართლის გადაწყვეტილებით ნებადართული გათავისუფლება უკუმაღის გამოყენებით არ შეიძლება შეიზღუდოს. დღეები შეესაბამებოდა უკვე განსაზღვრული სასჯელისგან გათავისუფლებას და წარმოადგენდა პატიმრის კანონით მინიჭებულ უფლებას.

თუმცა, 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოსთვის გათავისუფლება მომავალში დაკავებული პატიმრებისთვის აღარ გამოიყენებოდა. 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსით დაკავებულ პატიმრებს – როგორც მომჩივანია – გარდამავალი დებულება უფლებას აძლევდა, გამოეყენებინათ ასეთი ზომები, თუ ეს აუმჯობესებდა მათ მდგომარეობას. თუმცა, კანონით, გათავისუფლების მოსაპოვებლად უფრო რთული პირობები იყო წარმოდგენილი იმ პატიმრებისთვისაც კი, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მის ძალაში შესვლამდე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ დროებითი ზომის არჩევას, იმისათვის, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოსათვის გათავისუფლების წესის ეფექტი და უფრო შემწყნარებლური სისხლის სამართლისათვის, კანონმდებლებმა მიიჩნიეს, რომ იგი უნდა ყოფილიყო მატერიალური სისხლის სამართლის ნაწილი. ეს ნიშნავს იმას, რომ დებულება იმოქმედებდა სასჯელის განსაზღვრის მიმართაც და არა მხოლოდ მისი აღსრულებისას.

როდესაც მომჩივანმა ჩაიდინა დანაშაული, მის მიმართ დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა და გამოიტანეს გადაწყვეტილება სასჯელის გაერთიანებისა და მაქსიმალური სასჯელის განსაზღვრის შესახებ. მაშინ მოქმედი კანონმდებლობა, საკმარისი სიცხადით, უფლებას აძლევდა მომჩივანს, განესხვავებინა მდგომარეობა, რომელიც გონივრული იყო არსებული გარემოებებიდან გამომდინარე; მის მიმართ გამოყენებული სასჯელის ზომა; 30 წლით განსაზღვრული მაქსიმალური სასჯელის მხედველობაში მიღებითა და 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გათავისუფლების სისტემით. ამგავარად, მომჩივნის მიმართ გამოყენებული მაქსიმალური სასჯელის ზომას წარმოადგენდა 30 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, შესაბამისად ნებისმიერი გათავისუფლება პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოსათვის უნდა უკავშირდებოდა სასჯელის ამ ვადას.

(ბ) „პაროტის დოქტრინის“ გამოყენებამ მომჩივნის სასჯელის აღსრულების საშუალებები შეცვალა თუ მისი უმუალო ფარგლები? – 2008 წლის მაისში ეროვნულმა სასამართლომ უარყო 2008 წლის 2 ივლისი, როგორც მომჩივნის გათავისუფლების ბოლო თარიღი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეყრდნობოდა „პაროტის დოქტრინას“,

რომელიც მიიღო უზენაესმა სასამართლომ თავის 2006 წლის თებერვლის გადაწყვეტილებაში, მას შემდეგ, რაც დანაშაულები იყო ჩადენილი, სასჯელები გაერთიანდა და სასჯელის ზომად მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა.

მიღებულია, რომ ახალი ნორმა, რომლის თანახმადაც პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით გათავისუფლება გამოიყენება ინდივიდუალურად ყველა სასჯელისათვის – და არა 30 წლით განსაზღვრული სასჯელის მიმართ, როგორც ადრე – ეწინააღმდეგება 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედ ფორმულირებას. მომჩივნის სიტუაციაში „პაროტის დოქტრინის“ გამოყენება არ იყო ეფექტიანი პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოს გამო გათავისუფლებისთვის. კანონის თანახმად და განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელი მოსამართლეების საბოლოო გადაწყვეტილებებით, მომჩივანს ამის უფლებამოსილება ჰქონდა. შედეგად, მაქსიმალური სასჯელის ვადა 30 წელი აღარ იქნებოდა დამოუკიდებელი სასჯელი, რომლის მიმართაც პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოსათვის გათავისუფლების ზომა გამოიყენებოდა. ნაცვლად ამისა, პრაქტიკაში 30 წლით განსაზღვრული სასჯელის მიმართ გათავისუფლების ზომა არ გამოიყენებოდა.

(გ) იყო თუ არა „პაროტის დოქტრინა“ გონივრულად პროგნოზირებადი/განჭვრეტადი – სასჯელისგან გათავისუფლების გამოყენების სისტემაში ცვლილება გამოიწვია უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევამ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ცვლილებას კანონმდებლობაში. 1994 წლის მარტში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 30 წლის მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა „ახალ დამოუკიდებელ სასჯელს“, რომლის მიმართაც უნდა გამოყენებულიყო კანონით გათვალისწინებული ყველა გათავისუფლება. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იყო ციხისა და სასამართლო სისტემის პრაქტიკა, რომ „პაროტის დოქტრინამდე“ გამოიყენებინათ სასჯელისგან გათავისუფლების ზომები, 30 წლით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ სასჯელის ზომასთან დაკავშირებით. უზენაესმა სასამართლომ თავის პრაქტიკას 2006 წლამდე არ გადაუხვია, 10 წლის შედეგ კანონი, რომელზეც იგი მიუთითებდა, გაუქმდა. ამრიგად, სასამართლომ ახლებურად განმარტა ის კანონი, რომელიც უკვე ძალაში აღარ იყო, კერძოდ ეს არის 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა შეცვალა. გარდა ამისა, 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გარდამავალი დებულება მიზნად ისახავდა, პატიმრობის დროს შესრულებული სამუშაოსათვის, სასჯელისგან გათავისუფლების სისტემის ეფექტის შენარჩუნებას, როგორც ეს იყო

განსაზღვრული 1973 წლის სისხლის საართლის კოდექსში. იგი გამოიყენებოდა იმ პირების მიმართ, რომლებიც ამ კოდექსის მიხედვით იყვნენ მსჯავრდებულები, კონკრეტულად კი, შეესაბამებოდა უფრო მკაცრი სისხლის სამართლის ნორმის გამოყენების უკუმაღვას. თუმცა, უზენაესი სასამართლოს ახლებური ინტერპრეტაციით ძალადაკარგულად გამოცხადდა ის გათავისუფლების ზომები, რაც უკვე გამოყენებული იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ მომჩივანს და სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფ ადამიანებს შეეზღუდათ გათავისუფლების სისტემით სარგებლობა.

მოგვიანებით, სასამართლომ აღიარა, რომ უზენაეს სასამართლოს უკუმაღვით არ გამოიყენებია 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. მიუხედავად ამისა, უზენაესი სასამართლოს დასაბუთებიდან ნათელი იყო, რომ სასამართლო იმავე მიზანს ისახავდა, რასაც კანონი. კერძოდ, გარანტირებული ყოფილიყო სასჯელის მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთის სრუყოფილი და ეფექტიანი აღსრულება იმათთვის, ვისაც მიესაჯათ სასჯელი ხანგრძლივი ვადით. მაშინ, როდესაც სახელმწიფოები თავისუფალნი იყვნენ თავიანთი სისხლისამართლებრივი პოლიტიკის თავისუფლად შეცვლაში, მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებით სასჯელის ზომის გაზრდისას ისინი ვალდებულნი არიან ეს განახორციელონ კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად რომელიც უპირობოდ კრძალავს სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუმაღვით გამოყენებას მაშინ, როდესაც იგი ამძიმებს მსჯავრდებულის მდგომარეობას.

მაშინ, როდესაც მომჩივნის მიმართ გამოიტანეს განაჩენი და როდესაც მას აცნობეს, რომ გადაწყვეტილებაში სასჯელები გააერთიანეს და განესაზღვრა მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთა, არ ყოფილა მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო პრაქტიკა უზენაესი სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილების მიმართულებით ვითარდებოდა. შესაბამისად, მომჩივანს არ ჰქონდა არანაირი საფუძველი მოლოდინისა, რომ უზენაესი სასამართლო თავის პრაქტიკას გადაუხვევდა ან ეროვნული სასამართლო სასჯელისგან გათავისუფლებას გამოიყენებდა არა 30 წლიანი მაქსიმალური სასჯელის მიმართ, არამედ თითოეული სასჯელის მიმართ ინდივიდუალურად. სასამართლო პრაქტიკიდან ასეთ გადახვევას ჰქონდა დაკისრებული სასჯელის ფარგლების ცვლილების ეფექტი მომჩივნის საზიანოდ.

დასკვნა: დარღვევა (თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ).

მე-5 მუხლის პირველი ნაწილი: მომჩივანი მსჯავრდებული იყო უფლებამოსილი სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. მას

მთლიანობაში განესაზღვრა 3000 წლით თავისუფლების აღკვეთა. გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში, მათ შორის 2000 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებაში სასჯელთა გაერთიანების და მაქსიმალური სასჯელის განსაზღვრის შესახებ, ეროვნულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანს განესაზღვრა მაქსიმალური სასჯელის ზომა, 30 წლით თავისუფლების აღკვეთა 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. მომჩივნის პატიმრობაში ყოფნის ვადას ამ მაქსიმუმისთვის ჯერ არ მიუღწევია. მოჩივნის განაჩენებთან და 2008 წლის 2 ივლისის შემდეგ მისი დაკავების გაგრძელებას შორის არსებობდა აშკარა მიზეზობრივი კავშირი, რომელიც შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენისა და მაქსიმალური, 30 წლით თავისუფლების აღკვეთის ვადის შედეგი იყო. იმ მსჯელობის გათავლისწინებით, რაც კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევის დადგენამდე მივიდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც პატიმრობის დროს მომჩივანი სამუშაოს ასრულებდა და განესაზღვრა მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთა, მას არ შეეძლო გონივრულად განეჭვრიტა, რომ სასჯელისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ზომების გამოყენების მეთოდი შეიცვლებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ, 2006 წელს, სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევის შედეგად. ასევე, არ შეეძლო იმის განჭვრეტა, რომ ეს ახალი მიდგომა გამოყენებული იქნებოდა მის მიმართ. ამან მისი გათავისუფლების თარიღი თითქმის 9 წლით გადაწია. შესაბამისად, მან მოიხდადა სასჯელი იმაზე ხანგრძლივი ვადით, ვიდრე მას მისი მსჯავრდების დროს არსებულ ეროვნული სამართლებრივი სისტემის პირობებში უნდა მოეხადა, სასჯელისგან გათავისუფლების ზომის მხედველობაში მიღებით, რომელიც მას კანონის თანახმად მიენიჭა. ამრიგად, 2008 წლის 3 ივლისიდან მომჩივნის დაკავება არ არის „კანონიერი“.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).

46-ე მუხლი: საქმის გარკვეული გარემოებების მხედველობაში მიღებით და კონვენციის დარღვევის სასწრაფო შეჩერების აუცილებლობის გათავლისწინებით სასამართლომ მოცემულ საქმეში დაადგინა, რომ რესპოდენტ სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, გაეთავისუფლებინა მომჩივანი შესაძლო უახლოეს თარიღში.

საბანჩიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ - 38450/05

გადაწყვეტილება 6.6.2013

[სექცია I]

მუხლი 8

მუხლი 8-1

ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

პირადი ცხოვრების პატივისცემა

მუხლი 3

არაადამიანური მოპყრობა

ფაქტები – 2005 წლის 13 ოქტომბრის ადრიან დილას ქალაქ ნალჩიკში(Nalchik) სამართალდამცავ ორგანოებს თავს დაესხნენ შეიარაღებული მემბოხეები. შეტაკება მომდევნო დღესაც გაგრძელდა, რამაც გამოიწვია 100 ადამიანის დაღუპვა, რომელთა უმეტესობას წარმოადგენდნენ თავდამსხმელები. მომჩივნები რამდენიმე გარდაცვლილი მემბოხის ნათესავები არიან.

მომჩივნები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მათ იდენტიფიკაციაში, ამტკიცებდნენ, რომ გვამები შენახული იყო საშინელ პირობებში (დაწყობილი ერთ გროვად, გაშიშვლებული და ადეკვატური გაყინვის არქონის გამო დაწყებული იყო ხრწნის პროცესი). იმ კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილ იქნა რუსეთში 2002 წლის ოქტომბერში მოსკოვში ნორდ-ოსტის თეატრზე (Nord-Ost Theatre) ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, ტერორისტთა გვამები არ გადაეცემოდა ნათესავებს, და დასაფლავების ადგილს არ გაამჟღავნებდნენ. 2006 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც დაადგინეს მემბოხეების ჩართვა შეტაკებაში, საგამომიებო სტრუქტურებმა შეწყვიტეს სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება შეტაკებისას ეჭვმიტანილების გარდაცვალების გამო. 2006 წელს, იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომ არ დაებრუნებინათ გარდაცვლილები თავიანთი ოჯახებისთვის, სავარაუდო ტერორისტების 95 გვამის კრემაცია მოახდინეს. ზოგიერთი მომჩივანი ასაჩივრებდა კანონმდებლობას, რომელიც ტერორისტების დასაფლავების საკითხებს არეგულირებდა. 2007 წლის ივნისში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ის ღონისძიება, რომელიც გამოიყენეს და კითხვის ქვეშ იდგა, იყო გამართლებული, რადგან ტერორისტების დასაფლავება შეიძლება გამხდარიყო ტერორისტთა იდეების პროპაგანდად და ასევე, შესაძლოა, განხორციელებულიყო დანაშაულები მსხვერპლთა ნათესავებზე, შეექმნა წინარე პირობები, რომელიც აამაღლებდა შიდაეთნიკურ და რელიგიურ დაძაბულობას. მან (საკონსტიტუციო სასამართლომ) მხარი დაუჭირა სადავო კანონმდებლობას, რადგან ის შესაბამისობაში იყო კონსტიტუციასთან, თუმცა,

ამავე დროს მოახდინა მისი ინტერპრეტირება ისე, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ უნდა დაემარხათ გვამები, მანამ სანამ სასამართლო არ დაადასტურებდა ხელისუფლების კომპეტენტურ წარმომადგენელთა გადაწყვეტილებას.

სამართალი – მე-3 მუხლი: იმ პირობებს, რომლებშიც მომჩივნების გარდაცვლილ ნათესავთა გვამები ინახებოდა, შეიძლება გამოეწვია მომჩივნების ტანჯვა, რადგან, როგორც მთავრობამ აღიარა, შეტაკებიდან პირველი ოთხი დღის განმავლობაში ადგილობრივი საშუალებები არასაკმარისი იყო, რათა შეენახათ გვამები და რომ ამ დროის გასვლის შემდეგაც კი, მათ მოუხდათ ერთმანეთზე დაწყობილი გვამების მაცივარ ვაგონებში მოთავსება. თუმცა ეს ხარვეზები 2005 წლის ოქტომბერში მომხდარი შემთხვევების შედეგად გამოწვეული ლოჯისტიკური სირთულეებისა და ცოცხალი ძალის დანაკარგების მაღალი რიცხვის შედეგი იყო. არ არსებობდა მიზანმიმართული განზრახვა, რომ მომჩივნები დაექვემდებარებინათ არაადამიანური მოპყრობისთვის ან გამოეწვიათ მათი ფსიქოლოგიური ტანჯვა. სხვა სიტყვებით, მომჩივნების ემოციური მწუხარება იყო იგივე, რაც იქნებოდა ნებისმიერი გარდაცვლილის ოჯახის წევრისა მსგავს სიტუაციაში.

დასკვნა: მე-3 მუხლთან მიმართებით, არ არის დარღვევა (ერთხმად).

მუხლი 8: რუსეთში, გარდაცვლილ პირთა ნათესავები, რომელთაც სურთ დაკრძალონ ისინი, როგორც წესი, სარგებლობენ კანონით დადგენილი გარაანტიით, რომ მაშინვე დაუბრუნდეთ მათ გარდაცვლილთა გვამები დასაფლავებისთვის, მას შემდეგ, რაც გარდაცვალების მიზეზი გახდება ცნობილი. ამგვარად, ხელისუფლების წარმომადგენელთა უარი სხეულების დაბრუნებაზე წინამდებარე საქმეში იყო ზოგადი წესიდან გამონაკლისი. უფრო მეტიც, ამ ფაქტმა მომჩივნებს აშკარად ჩამოართვა შესაძლებლობა, რომ დაეკრძალათ და მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი ნათესავების დაკრძალვაში, ან სცოდნოდან საფლავის ადგილი პოტენციური მონახულებისათვის. გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც უარი ეთქვათ ოჯახებს გარდაცვლილთა გვამების გადაცემაზე, შესაბამისად, წარმოადგენდა მომჩივნების პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას (მხოლოდ ერთი მომჩივნის გამონაკლისით, რომელიც ოფიციალურად არ იყო დაქორწინებული ერთ-ერთ მსხვერპლზე, თუმცა ცხოვრობდა მასთან ერთად რამდენიმე თვის განმავლობაში, რომლის საქმეში გადაწყვეტილება წარმოადგენდა მხოლოდ მის პირად ცხოვრებაში ჩარევას).

ხელისუფლების წარმომადგენლების უარი გარდაცვლილთა გვამების დაბრუნებაზე ეფუძნებოდა ტერორიზმის ჩახშობის შესახებ აქტსა (Suppression of Terrorism Act) და 2003 წლის დეკრეტს, რომელიც არეგულირებს ტერორისტების დასაფლავების საკითხებს და შესაბამისად, წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს რუსულ სამართალში. ამ გადაწყვეტილებს ჰქონდა ლეგიტიმური მიზნები, სახელდობრ, დაკრძალვის დროს არეულობის თავიდან აცილება მემბოხების მომხრეების ან მოწინააღმდეგეების მხრიდან, ტერორიზმის მსხვერპლთა ნათესავების გრძნობების დაცვა და საზოგადოებაზე მინიმალური ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

სახელმწიფოები ეჯახებიან ტერორიზმიდან და ტერორისტული ძალადობისგან გამოწვეულ კონკრეტულ გამოწვევებს. თუმცა, სასამართლოს უჭირს დაეთანხმოს, რომ მთავრობის მიერ მითითებული მიზნები, თუნდაც ლეგიტიმური, წარმოადგენს სიცოცხლისუნარიან გამართლებას, უარი ეთქვათ მომჩივნისთვის დაკრძალვის ცერემონიაში რაიმე სახით მონაწილეობაზე ან სულ მცირე შესაძლებლობაზე, გამოეხატათ თავიანთი პატივისცემა. ნამდვილად, საფლავების ადგილსამყოფელის გამჟღავნების სრულმა აკრძალვამ, სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი მომჩივნებსა და მათ გარდაცვლილ ნათესავებს შორის. უფრო მეტიც, როცა იღებდნენ გადაწყვეტილებას, რომ არ გადაეცათ გარდაცვლილთა გვამები, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გამოუყენებიათ თითოეული საქმისათვის ცალკე მიდგომა, ან არ მიუღიათ მხედველობაში თითოეული გარდაცვლილისა და მათი ოჯახის წევრების ინდივიდუალური გარემოებები, ვინაიდან შესაბამისი კანონის მიხედვით ყველა ეს საკითხი არარელევანტური გახლდათ. ამის საპირისპიროდ, გადაწყვეტილებები იყო სრულიად ავტომატური და უგულვებელყოფდა ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულებას, დარწმუნებულიყვნენ, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა იყო გამართლებული და პროპორციული თითოეული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებში. ვინაიდან, არ ყოფილა ასეთი ინდივიდუალური მიდგომა, უარი ძირითადად წარმოადგენდა მომჩივნებზე სადამსჯელო ეფექტის მოხდენას ტერორისტული აქტების შესახებ ბრალდების ტვირთის გარდაცვლილებიდან მათზე დაკისრებას. მოპასუხე სახელმწიფომ, შესაბამისად, დაარღვია ყველა მისაღები ზღვარი პატივისცემის დაფასებისა.

დასკვნა: მე-8 მუხლთან მიმართებით დადგინდა დარღვევა (ხუთი ხმა ორი ხმის წინააღმდეგ).

მე-13 მუხლი მე-8 მუხლთან კავშირში: სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა ხელისუფლების წარმომადგენელთა გადაწყვეტილებაზე არანაირი ეფექტური სამართლებრივი ზედამხედველობა გარდაცვლილთა გვამების ოჯახებისთვის

დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ. იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის დადგენილებამ გააუმჯობესა მომჩივნების სიტუაცია, რუსული სასამართლოები რჩებოდნენ კომპეტენტურ ორგანოებად, რომ გადაეხედათ მხოლოდ მიღებული ღონისძიებების ფორმალური კანონიერებისთვის და არა ასეთი ღონისძიებების მიღების საჭიროებისთვის, როგორც ასეთი. შესაბამისად, კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა მომჩივნებს საკმარისი პროცედურული დაცვით თვითნებობის წინააღმდეგ. მართლაც, მათ ვერ ისარგებლეს გასაჩივრების ეფექტური საშუალებით ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გადაწყვეტილებების ასლების წარმოდგენაზე უარის თქმისა და მათ გადახედვაზე სასამართლოების შეზღუდული კომპეტენციის გამო.

დასკვნა: დარღვევა (ხუთი ხმა ორის ხმის წინააღმდეგ).

სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ მე-14 მუხლის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში დარღვევას ადგილი არ ჰქონია და, ასევე, არ დადგინდა 38(1)-ე მუხლის დარღვევა.

41-ე მუხლი: დარღვევის დადგენა წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მიადგათ მომჩივნებს.

საქმეზე *ლოლესი ირლანდიის წინააღმდეგ (Lawless v. Ireland)*, რომელიც ეხებოდა მომჩივნის ხუთი თვით დაპატიმრებას სასამართლო განხილვის გარეშე, სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრული იყო 1950-იანი წლების ბოლოს საჯარო საგანგებო მდგომარეობის არსებობის მტკიცება ირლანდიის შიგნით და გარეთ IRA-ისგან მომდინარე მზარდი საფრთხიდან გამომდინარე. საქმეზე ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. UK*), 1970-იანი წლების დასაწყისის კონტექსტში, როდესაც დაფიქსირდა IRA-ის მხრიდან მრავალი თავდასხმა, მათ შორის, დაბომბვა და ცეცხლის გახსნა, უდავო იყო, რომ საჯარო საგანგებო მდგომარეობა სახეზე იყო. მიანიჭა რა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები, ევროსასამართლოს დიდმა პალატამ თავის 2009 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე **A და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (A and others v. UK)** აღიარა გაერთიანებულ სამეფოში საჯარო საგანგებო მდგომარეობის არსებობა 2001 წელს შეერთებულ შტატებზე ტერორისტული თავდასხმის შემდგომ, გაერთიანებულ სამეფოზე მძიმე შედეგების მომტანი ტერორისტული თავდასხმის საფრთხის მტკიცებულების გათვალისწინებით:

„მართალია, გაერთიანებული სამეფო კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ერთადერთი იყო, რომელმაც ალ-ყაიდასგან მომდინარე საფრთხის საპასუხოდ გადახვევა განაცხადა, თუმცა საფრთხე სხვა სახელმწიფოებსაც ემუქრებოდათ, სასამართლომ გაიზიარა, რომ თითოეული ქვეყნის ხელისუფლება, როგორც საკუთარი ხალხის მფარველი, თავად აკეთებს შეფასებას მის ხელთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით”.

საქმეზე *აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey)* სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო საგანგებო მდგომარეობა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში 1990-იან წლებში ამ რეგიონში PKK-ის ტერორისტული საქმიანობის მასშტაბისა და შედეგების გათვალისწინებით. მაშინაც, როცა საჯარო საგანგებო მდგომარეობის არსებობა უდავოა, ევროსასამართლომ თავად უნდა შეაფასოს, თუმცა სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით. ქვეყნის მხოლოდ ნაწილში არსებულმა „საგანგებო მდგომარეობამ“ შესაძლოა გავლენა იქონიოს მთელ მოსახლეობაზე და, შესაბამისად, საფრთხე შეუქმნას „მთელი მოსახლეობის სიცოცხლეს“. გადახვევა ვალიდური იქნება მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც პირდაპირ არის მითითებული გადახვევის შესახებ აქტში.

1988 წელს საქმეზე *ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Brogan and others v. UK)*, რომელიც ეხებოდა სასამართლო ბრძანების გარეშე ოთხ დღეზე მეტი ვადით დაკავებას და დადგინდა 5(3) მუხლის დარღვევა, მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ განაცხადა გადახვევა ჩრდილოეთ ირლანდიასთან დაკავშირებით, შვიდ დღემდე ვადით ბრალის წაყენების გარეშე დაკავების დასაშვებად. გაერთიანებული სამეფოს გადახვევის კანონიერება დადასტურდა საქმეზე *ბრანიგანი და მაკბრაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Brannigan and McBride v. UK)*, მიჩნეულ იქნა რა, რომ ტერორიზმში ექვმიტანილი პირების შვიდ დღემდე ვადით დაპატიმრებამ არ გადაამეტა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებს. გადახვევა გაუქმდა 2001 წლის 26 თებერვლიდან, 2000 წლის ტერორიზმის შესახებ კანონის მიღებით, რომელმაც დააკანონა დაპატიმრების ვადის გაგრძელებისთვის სასამართლო ნებართვა. საქმეზე *აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey)* 14-დღიანი პატიმრობა მეტად ხანგრძლივად იქნა მიჩნეული. თურქეთმა ვერ განმარტა, თუ რატომ გახადა ტერორიზმთან ბრძოლამ სასამართლოს ჩარევა განუხორციელებელი. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო დაცვის არასაკმარისი გარანტიები: „კერძოდ კი, ადვოკატის, ექიმის, ნათესავის ან მეგობრის

ხელმისაწვდომობაზე უარი, რაიმე რეალური შესაძლებლობის არქონა, რომ წარდგებოდა სასამართლოს წინაშე დაპატიმრების ლეგიტიმურობის გადასასინჯად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის დარჩა მის დამკავებელთა მოწყალების ანაბარა“. საქმეზე **ელჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Elçi and others v. Turkey)**, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაამტკიცა, წინასწარი ნებართვის გარეშე განმცხადებლის ადვოკატის დაკავებას თუ რამდენად მოითხოვდა მკაცრად მდგომარეობის სიმწვავე, 15(1) მუხლის შესაბამისად. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, გაერთიანებულმა სამეფომ 2001 წლის 18 დეკემბერს განაცხადა გადახვევა კონვენციის 5(1) მუხლთან მიმართებით, რათა ნებადართული გამხდარიყო საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობაში ექვმიტანილ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაკავება (2001 წლის ტერორიზმთან ბრძოლის, დანაშაულისა და უსაფრთხოების შესახებ აქტის თანახმად). მისი მიზანი იყო ამ პირთა ხანგრძლივად დაკავების შესაძლებლობის შექმნა, რათა მათი დეპორტაცია არ მომხდარიყო დადასტურებული რისკის გამო, რომ ეს პირი შესაძლოა დაქვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით. ეს იმიტომ, რომ 5(1)(f) დეპორტაციის მიზნით დაპატიმრებას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, „როდესაც ქმედება განხორციელდა დეპორტაციის განზრახვით“. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაყრდნობოდა გადახვევას საქმეზე **A და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (A and others v. UK)**. მომჩივნები უცხოეთის მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც დააკავეს 2001 წლის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის საფუძველზე საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობაში ექვზე დაყრდნობით. მთავრობა მოახდენდა მათ დეპორტაციას, თუკი შესაძლებელი იქნებოდა ისეთი მიმღები სახელმწიფოს მოძიება, სადაც მათ არ დაემუქრებოდათ კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობა. სახელმწიფო ორგანოები მიიჩნევდნენ, რომ მათი დაკავება აუცილებელი იყო, რადგანაც ქვეყანაში მათი ყოფნა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას. მიუხედავად ამისა, რადგან სახელმწიფო ორგანოებმა აღიარეს, რომ მათი დეპორტაცია ან ქვეყნიდან გაყვანა ვერ მოხდებოდა „იმ მომენტისთვის“, მე-5 მუხლი დაირღვა ცხრა განმცხადებელთან მიმართებით, რადგანაც მათ მიმართ ვერ გაცხადდებოდა, რომ ისინი იყვნენ პირები, რომელთა მიმართაც ღონისძიებები გატარდა დეპორტაციის ან ექსტრადიციის განზრახვით. სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ აღიარა, რომ სახეზე იყო მოსახლეობის სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი საჯარო საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ დაასკვნა, რომ გატარებული ზომები არაპროპორციული იყო, რადგანაც გაუმართლებელ დისკრიმინაციას ახდენდა მოქალაქე და არამოქალაქე პირებს შორის.

აბდულა ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2015) საქმე ეხებოდა აპლიკანტის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მედიის მიერ მოვლენების ფართოდ უარყოფითად გაშუქების გამო, მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვა უკანონო იყო. მას ბრალი ედებოდა ტერორიზმის მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებაში, რათა თხევადი ბომბების გამოყენების მეშვეობით, თვითმფრინავი აეფეთქებინათ. მის საქმეზე პირველმა სასამართლო განხილვამ, რაც საბოლოოდ მკვლელობასთან დაკავშირებული შეთქმულების მოწყობისათვის მსჯავრდებით დასრულდა, მედიაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა, მათ შორის გაჟღერდა ისეთი ინფორმაციები, რაც ნაფიც მსაჯულთა წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი. შემდგომში ბრძანება გაიცა საქმის ხელახლა განხილვის შესახებ უფრო კონკრეტულ ბრალდებასთან, კერძოდ, ფეთქებადი ნივთიერების თვითმფრინავში აფეთქების შედეგად მკვლელობების განხორციელების თაობაზე შეთქმულებასთან, მიმართებით (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ვერდიქტი ვერ მიიღო). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ საქმის ხელახლა განხილვის სამართლიანად წარმართვა, საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო. საქმის განხილველმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი პროტესტი; იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს; აღნიშნული სასჯელის მოხდის მინიმუმ 40 წლიანი ხანგრძლივობით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6(1) (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მუხლის დარღვევას, მიუთითა რა, რომ არაფერი ცხადყოფდა იმ ფაქტს, რომ უარყოფითმა საზოგადოებრივმა გამოხმაურებამ გავლენა მოახდინა ნაფიც მსაჯულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ გაერთიანებულ სამეფოში უარყოფითი საჯარო გამოხმაურების დროს სასამართლოს სამართლიანობის უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი გარანტიები ითვალისწინებდა საქმის განხილველი მოსამართლის სათანადო დაცვას. შემდგომში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის მიერ მიღებული ღონისძიებები საკმარისი იყო. ამდენად, მან განიხილა რამდენად იყო გასული საკმარისი დრო იმისათვის, რათა საქმის ხელახლა განხილვის დაწყებამდე წინასასამართლო ცნობები წარსულს მიცემოდა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ნაფიც მსაჯულებისათვის მიუკერძოებლობის და, აგრეთვე, საქმის მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტის თაობაზე მიმართულების მიცემის საჭიროება. შემდგომში სტრასბურგის სასამართლომ

ნათლად მიუთითა მიმართულებები, რასაც აპლიკანტი არ ასაჩივრებდა. ის ფაქტი, რომ ნაფიც მსაჯულებმა საქმის ხელახალი განხილვისას რამდენიმე ბრალდებულის მიმართ განსხვავებული ვერდიქტი გამოიტანა ამყარებდა მოსამართლის დასკვნას, რომ ნაფიც მსაჯულები ინდივიდუალურად მოქმედებდნენ და მიყვებოდნენ მათთვის მიცემულ ინსტრუქციებს, საქმე სამართლიანად, მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გადაეწყვიტათ.